მკითხველთა საყურადღებოდ! კახეთის ქალაქების - როგორც ურბანული და ისტორიული ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით გაზეთი „კახეთის ხმა" და „მედია ცენტრი კახეთი" იწყებენ ახალ პროექტს. გთხოვთ მოგვაწოდოთ საოჯახო და საგვარეულო ფოტო და დოკუმენტალური მასალები. საუკეთესო ისტორიული ფოტოები გადამუშავდება და ავტორთა მითითებით მომზადდება გამოფენა. გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: 890 112297

ახალგაზრდა ლიდერი!

კახეთის ხმა

kakhetiskhma@yahoo.com

50 თეთრი

No. 35 (337)

1 ნოემბერი 2010

ნახე - ელექტრონული ვერსია ბლოგზე - www.kaxetisxma.wordpress.com

წყლის მაღალი ტარიფისა და უკანონო ქმედებების შედეგები ლაგოდეხში

ლაგოდეხის პოლიკლინიკა სასმელი წყლის გარეშე დარჩა. სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტს, გაერთიანებული წყალმომარაგების ლაგოდეხის სერვისცენტრმა წყლის მიწოდება ისე შეუწყვიტა, რომ დავალიანების დაფარვის გონივრული ვადის განსაზღვრაზე არ უმსჯელია. გადასახადების გადახდაზე პრობლემები კი ლაგოდეხის პოლიკლინიკას მას შემდეგ შეექმნა, რაც წყლის ტარიფი გაიზარდა. პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ მცირე მეწარმეებიც, რომლებიც შექმნილი მდგომარეობის გამო, საწარმოების დახურვის საფრთხეებზე მიანიშნებენ. ისინი დახმარებას რეგიონის გუბერნატორს და საქართველოს პრეზიდენტს სთხოვენ.

წყლის ტარიფი გვ.-3

საზოგადოებაში პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა დაბალია

საზოგადოების პირად პასუხისმგებლობასა და ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებაზე ბევრს საუბრობენ. პირადი პასუხისმგებლობა საკმაოდ ფართო ცნებაა და უამრავ წვრილმანს მოიცავს.

მედია ექსპერტი, ზვიად ქორიძე სამოქალაქო ღირებებულებების რანგირებაზე საუბრობს და ამბობს, რომ ჩვენთან დუნეთ მიდის ამ ღირებულებებისადმი ერთგულება. როგორც ზვიად ქორიძე ამბობს, კომპლექსები და რაღაც საქმის კეთების სირცხვილი ვერასდროს დაამკვიდრებს იმ ღირებულებების მინიმუმსაც კი რასაც პირადი პასუხისმგებლობა ქვია:

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, ექსპერტების თქმით, პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურად ჩამოყალიბებული საზოგადოების არსებობასთან.

თვალსაზრისი გვ.-4

ვალუტის კურსი

1 აშშ დოლარი	USD		1.7490
1 ევრო	EUR		2.4250
1 ინგლ. გირვანქა სტერლინგი	GBP		2.7050
1 რუსული მანეთი	RUR		0.0497
1 აზერბაიჯ. მანათი	AZM		2.2892

სახელმწიფო ფერმერებს ჰიბრიდული ჯიშის სიმინდს სთავაზობს

კახელი ფერმერები მალე სიმინდის ჰიბრიდით ისარგებლებენ, ქართული სიმინდის ახალი ჯიშებით ჩანაცვლების მნიშვნელობაზე მათი სოფლის მეურნეობის მინისტრი, ბაკურ კვეზერელი პირადად ესაუბრა, რომელიც გასულ კვირას გურჯაანის რაიონში იმყოფებოდა. მინისტრის განმარტებით, სიმინდის ჰიბრიდი, რომლის სათესლე მასალაც საქართველოში ჩამოიტანეს უხვმოსავლიანია და აქაური კლიმატური პირობებისა და გარემოსთვის აპრობირებულია.

აგროკულტურა გვ.-2

მედიის თავისუფლების ხარისხი მისი დაფინანსების წყაროებით იზომება

კახეთის რეგიონში არსებული მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი მნიშვნელოვანად არის შემცირებული, - ასეთი დასკვნა გააკეთეს რეგიონული მედიის წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა ადგილობრივი მედიის შეფასებისას.

ფაქტია, რომ მსოფლიო პრესის თავისუფლების რეიტინგში საქართველომ თავისუფლების მხრივ უკან გადაინაცვლა, რაც იმის დასტურია, რომ მედია გარემო არც თუ სახარბიელოა.

მედია გვ.-3

მედია, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტი კახეთში - საჯარო დისკუსია

ახალი ამბები

საქართველოში მალე ხორცის რეალიზაციის ახალი სტანდარტები დაწესდება

საქართველოში, უახლოეს მომავალში, ხორცის დამუშავებისა და რეალიზაციის ახალი სტანდარტები დაინერგება. იგი, ამ ეტაპზე, თბილისში ამოქმედდა, მაგრამ უახლოეს მომავალში მთელ საქართველოში პირუტყვის გაყიდვისა და ხორცის დამზადების ახალი სტანდარტები სავალდებულო გახდება.

ბაზარი გვ.-2

ისტორიული ძეგლები დახმარებას ითხოვენ

კახეთის რეგიონში გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველაზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომელთაც უნიკალური მნიშვნელობა აქვს და ამდიდრებს ისტორიულ მემკვიდრეობას. სამწუხაროდ, მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებულია და გადაუდებელ დახმარებას ითხოვს.

ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციისთვის ბიუჯეტიდან საკმაოდ მწირი თანხებია გამოყოფილი.

მემკვიდრეობა გვ.-7

სოსო მიქელაძე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პოსტისათვის ემზადება

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სავარძელს სავარაუდოდ ამავე უნივერსიტეტში ახლადანიშნული მრჩეველი სოსო მიქელაძე დაიკავებს. ბოლო დროს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარშემო ატეხილი სკანდალების შემდეგ, უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან წავიდა. ამის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა.

ექსკლუზივი გვ.-2

C M Y K

სახელმწიფო ფერმერებს ჰიბრიდული ჯიშის სიმინდს სთავაზობს

სოფიკო ნიკოლაშვილი

კახელი ფერმერები მალე სიმინდის ჰიბრიდით ისარგებლებენ, ქართული სიმინდის ახალი ჯიშებით ჩანაცვლების მნიშვნელობაზე მათ სოფლის მეურნეობის მინისტრი, ბაკურ კვეზერელი პირადად ესაუბრა, რომელიც გასულ კვირას გურჯაანის რაიონში იმყოფებოდა. მინისტრის განმარტებით, სიმინდის ჰიბრიდი, რომლის სათესლე მასალაც საქართველოში ჩამოიტანეს, უხვმოსავლიანია და აქაური კლიმატური პირობებისა და გარემოსთვის აპრობირებულია.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ბაკურ კვეზერელმა გურჯაანში ფერმერებსა და კახეთის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების წარმომადგენლებს ჰიბრიდული ჯიშის სიმინდზე ინფორმაცია მიაწოდა.

მინისტრმა ფერმერებს დეტალურად გააცნო ჰიბრიდული სიმინდის თვისებები, მოყვანის პირობები და მისი მოსავლიანობა. ჰიბრიდული სიმინდის თესლი, რომელიც სახელმწიფოს შემოაქვს, ფერმერებისთვის ერთ ჰა-ზე დასათესი მასალა დაახლოებით 220 ლარი ეღირება, რომლის თანხასაც ეტაპობრივად დაფარავენ.

კვეზერელმა ისაუბრა მარცვლოვანი კულტურების რა მოსავლიანობა აქვს დღეს საქართველოს და ისიც დასძინა, რომ ეს პროცენტულობა ძალზე დაბალია და სახელმწიფო კმაყოფილი არ არის. მინისტრის თქმით, ქვეყანაში მარცვლოვანი კულტურის კრიზისიდან გამოსაყვანად საჭიროა მსგავსი ახალი პროექტები, რომელიც მან კახელ ფერმერებს გააცნო. მისივე თქმით, ვინაიდან რუსეთმა მარცვლოვანი კულტურების ექსპორტი შეზღუდა, ამან არამარტო საქართველო, არამედ მთელი ევროპა კრიზისში ჩააგდო. ჩიხიდან გამოსასვლელად კი უფრო მეტი ადგილობრივი პროდუქცია უნდა მოვიდეს, რომელიც ჩვენს ბაზარსაც დააკმაყოფილებს და ექსპორტზეც გავა. მინისტრის თქმით, საქართველოს ნამდვილად აქვს მარცვლოვანი კულტურების მიკროკლიმატური და აგროტექნიკური გამოცდილება:

„ჩვენი მთავარი მიმართულება შემდეგი ორი წლის განმავლობაში არის მარცვლოვანი კულტურის განვითარება მთელ საქართველოში და მათ შორის კახეთში, სადაც ამის დიდი ტრადიციები, და ნიადაგობრივი, აგროკლიმატური პირობებია.

ერთ-ერთი მარცვლოვანი კულტურა, რომელიც ყველაზე მასიურია საქართველოში, სიმინდია. თუ ხორბალი ითესება 125 000 ჰექტარზე, სიმინდი 260 000 ჰექტარზეა მთელ საქართველოში და მათ შორის კახეთში. ჩვენი მიზანია, რომ ხორბალი და სიმინდი საქართველოში მოვიყვანოთ. დღესდღეობით საშუალო მოსავლიანობაა, სიმინდის კი ძალზე დაბალი. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ არ ვართ კმაყოფილი ამ მონაცემებით, თუმცა გვაქვს ძალიან კარგი შედეგები ლაგოდეხში, სამტრედიასა და ვანში, სადაც მოიხმარენ ჰიბრიდული ჯიშის სიმინდს. რამდენადაც უნდა გაგვიკვირდეს

უხმოსავლიანი სიმინდის მოსაყვანად სახელმწიფო ფერმერებს სათესლე მასალას სთავაზობს | კახეთის ხმა

საშუალო მოსავლიანობა გვაქვს 3 ტონამდე, როცა საუკეთესო ფართობში 10-12 ტონა გვაქვს ლაგოდეხში. სხვათაშორის, ლაგოდეხში წელს 12 ტონაზე მეტი მოიყვანეს ფერმერებმა. შესაბამისად, ჩვენი მიზანია მოვახდინოთ ამ პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია, ამას ჭირდება მხარდაჭერა და ხელშეწყობა, რისთვისაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს კორპორაციასთან ერთად განვახორციელებთ მომავალ გაზაფხულზე.

რეგისტაცია უნდა დაიწყო, ფერმერებს უკვე დაურიგდათ შესავსებად განაცხადის ფორმა იმისთვის, რომ სათესლე მასალის დარიგება დაიწყოს პირველი თებერვლიდან. ამ განაცხადების შევსების ბოლო თარიღი 1 დეკემბერია და მინდა გავაფრთხილო ფერმერები, რომ ხორბლის მსგავსად არ მოხდეს როცა ჯერ არავის სურდა, შემდეგ აღმოჩნდა, რომ დამატებითი შესყიდვები დაგვჭირდა. კიდევაც არის ხორბლის გაცემის საშუალება, რადგან დამატებითი მარაგები შევიძინეთ ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მინდა ვთხოვო ფერმერებს, რომ დათესვის პირობა არ დავარღვიოთ და 15 ნოემბრამდე მოვრჩეთ ხორბლის თესვას," - განაცხადა მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა.

სახელმწიფო, ფერმერებს ჰიბრიდული ჯიშის სიმინდს განვადებით სთავაზობს. ფერმერი იღებს სიმინდის დათესვის ვალდებულებას და დათესვიდან 3 თვეში უნდა აიღონ მოსავალი, ამის შემდეგ ფერმერს საშუალება ექნება დაფაროს სათესლე მასალის ღირებულება.

„განაცხადის შევსების შემდგომ თითოეულ ადამიანთან გვექნება სატელეფონო კავშირი და როდესაც გადავცემთ თესლს, აუცილებლად შევხვდებით, მათთან ერთად ჩავალთ ადგილზე და დავეხმარებით როგორ უნდა დაითესოს ყანა, ასევე გავაცნობთ როგორი მოვლა სჭირდება ჯიბრიდულ სიმინდს. ამის შემდეგ ფერმერს 7 თვეში ექნება ვალდებულება დათესოს სიმინდი, დათესვიდან კი 3 თვეში უნდა აიღოს მოსავალი და ამის შემდეგ ფერმერს საშუალებას ექნება დაფაროს სათესლე ღირებულება ანუ ფერმერი სათესლე მასალის თანხას ფარავს მომავალი წლის დეკემბერში.

მინდა ხაზი გაუსვა მოსავლიანობის დონეს, ეს სიმინდი უხვმოსავლიანია და ჰექტარზე 10-12 ტონაა კახეთის პირობებში. თესვის თვალაზრისით ითესება ოთხმოცი ათასი მარცვალი ჰექტარსა და ორასზე. იმის გამო, რომ მარცვალი უნდა დაითესოს სიხშირით, სარეველას განვითარება ნაკლებია და ესეც ძალიან მნიშვნელოვანია რადგან ფერმერს ნაკლები შრომა დაჭირდება. ჰიბრიდული ჯიშის სიმინდს ასევე ახასიათებს გვალვაგამძლეობა, ამ შემთხვევაში გამოცდილი და დანერგილი მეთოდია. ის მოურწყავ პირობებში 7-8 ტონა მოსავალს ნამდვილად იძლევა," - აღნიშნა კვეზერელმა

მინისტრმა ასევე ისაუბრა თუ რამდენად დიდი კვებითი ღირებულებები აქვს ჰიბრიდულ სიმინდს და რამდენად მაღალია საქართველოში მარცვლოვანი კლტურის იმპორტი. მისივე თქმით, სახელმწიფოს სტრატეგიად აქვს აღებული მარცვლოვანი კულტურის გატანა საზღვარგარეთ საექსპორტოდ. პროგრამა, რომელიც ამ გაზაფხულიდან იწყება გულისხმობს ქართული ბაზრის დაკმაყოფილებას და მუშაობას იმაზე, რომ საქართველოდან პროდუქცია გავიდეს ექსპორტზე.

„ჰიბრიდული სიმინდის მოსავალს უფრო დიდი კვებითი ღირებულებები აქვს. მას გააჩნია მეტი სახამებელი, ცილები და პროტეინი, რაც ამ პროდუქტს უფრო რეალიზებულს ხდის. იმის გამო, რომ 25% შემოგვაქვს იმპორტით ჩვენს ბაზარს მაინც ვერ აკამაყოფილებს, ასე რომ იმედი გვაქვს ამ მოსავალის აღების შემდეგ საქართველო შეძლებს სიმინდის იმპორტს. მეორეა, რომ გავაიაფებთ სიმინდს მეცხოველეობისა და მეფრინველეობისთვის და მნიშვნელოვანია რომ გავიტანთ ექპორტზე.

ფასთან მიმართებაში გარკვეულ წილად ჰიბრიდის ფასი განსხვავდება და სწორედ ამიტომ ვაპირებთ, რომ განვადებით გავცეთ სიმინდი ფერმერებზე. ერთ ჰექტარზე მოუწევს ფერმერს დაახლოებით 220 ლარი, ფერმერი არის ძალიან დიდ მოგებაში, რადგან ამ თანხით მოიყვანს ჰექტარზე 10-12 ტონა სიმინდს და სათესლე მასალის თანხა დასაფარი ექნება ფერმერს 7 თვეში", — თქვა ბაკურ კვეზერელმა.

ფერმერმა, რომელმაც წინა გაზაფხულზე დათესა ჰიბრიდული ჯიშის სიმინდი, მოსავალიც აიღო. შოთა ნიკოლაშვილი აღნიშნავს, რომ ჰიბრიდული ჯიშის სიმინდი ნამდვილად უხვმოსავლიანი და გვალვაგამძლეა:

„გაზაფხულზე დავთესე ჰიბრიდული სიმინდი და ვაპირებ, კიდევ დავთესო. სხვა სიმინდებთან შედარებით იკეთებს 3 ტაროს და მორწყვის პირობებში მესამე ტაროს დასრულებას ასწრებს. მოსავალი ავიღე 1 ჰა-ზე სადღაც 10 ტონამდე.

დათესვით ითესება ახლო-ახლოს და მოსავლელად ძალზე ადვილია, არ სჭირდება ხშირი გათოხვა და თქვენ წარმოიდგინეთ სარეველას ადვილად ერევა. იმის გამო, რომ შემოტანილი სიმინდი გაძვირდა და საქარველოში მოყვანილი სიმინი შედარებით იაფია, უფრო კარგად იყიდება," - აღნიშნა შოთა ნიკოლაშვილმა.

Welcome to...

გაზეთი „კახეთის ხმა" გამოიცემა 2002 წლიდან. შპს „კახეთის ხმა" დამფუძნებელი: მაია მამულაშვილი.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა „კახეთის ხმის" კომპიუტერულ ცენტრში.

სარედაქციო საბჭო:

მთავარი რედაქტორი:
ხათუნა გოგაშვილი;
მმართველი რედაქტორი:
ნატალია ცისკარაშვილი,
რედაქტორი: ნინო ჭაბაშვილი

მენეჯმენტი:
გენერალური დირექტორი:
მაია მამულაშვილი
კომერციული დირექტორი: ქეთი სიბაშვილი;
მარკეტინგის მენეჯერი: ეკა ტუხაშვილი
სარეკლამო სამსახურის მენეჯერი: ეკა ფოლადაშვილი;
დისტრიბუციის სამსახურის მენეჯერი:
ვაჟა ქიტოშვილი
ფინანსური მენეჯერი:
მარინე თევდორაშვილი

მისამართი:
გურჯაანი, ნონეშვილის ქუჩა №2
ტელეფონი: 890 112297
E_mail: kakhetiskhma@yahoo.com

„კახეთის ხმა" ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით, არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიისა და დაჯგუფების ინტერესებს, იცავს პროფესიული ეთიკის ქარტიის სტანდარტებს.

ავტორები თავად აგებენ პასუხს სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

სტატიები დაფინანსებულ ფართზე იბეჭდება სპეციალურ ჩარჩოში. რეკლამა გამოყოფილია **R** ნიშნით.

საავტორო უფლებები დაცულია.

ჯახეთის ხმა

სწრაფი კვების ობიექტები ძალიან დაავადებების გამოწვევ რისკებს შეიცავენ

ზვიად ბიაშვილი

საქართველოში ბოლო წლებში სწრაფი კვების ობიექტების რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა. თბილისში თითქმის ყველა შესახვევში და დედაქალაქთან ერთად აღნიშნული ობიექტები გაჩნდა რეგიონებშიც. რეგიონების დონეზე ეს უფრო სწრაფი კვებისა და ტრადიციული სამზარეულოს ელემენტების ჰიბრიდია, სწრაფი კვების ობიექტებად იქცნენ ე.წ. სახაჭაპურეები.

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი პროდუქტი სწრაფი კვების ობიექტებია, ე.წ. „ფასთ-ფუდები", რაზედაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საკმაოდ სკეპტიკური შეხედულებები გამოითქვა.

მედიკოსთა გარკვეულმა ნაწილმა განაცხადა, რომ ადამიანის მუდმივად სწრაფი კვების ობიექტზე დამოკიდებულება ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს იწვევს, თუმცა ამის მიუხედავად ამ პროდუქტზე მოთხოვნა არა თუ შემცირდა, არამედ იზრდება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ამ ობიექტებში ადამიანებს საშუალება ეძლევათ მოკლე დროში სწრაფად და გემრიელად დანაყრდნენ, რაც ჩვეულებრივ კვების ობიექტებში შეუძლებელია, რადგან იქ ადამიანებს გაცილებით მეტი დრო მისდით. თანამედროვე მსოფლიოში დროს ოქროს ფასი მიეცა. გლობალიზებულ საზოგადოებაში თითოეული წუთი შეიძლება გადამწყვეტი გახდეს საქმის წარმატებისთვის.

ცხოვრება აჩქარდა და ამან მთელი რიგი პრობლემები გააჩინა. დროში შეზღუდულობა, მუდმივი სტრესის მდგომარეობა და არასრულფასოვანი კვება მცირე ჩამონათვალია იმ მიზეზებისა რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზულ პრობლემას უქმნის.

დავინტერესდით ამ ობიექტებში დამზადებული პროდუქცია რამდენად კეთილსაიმედოა და მოსახლეობა რამდენად სარგებლობს ამ სერვისით და რა აზრის არიან მის ხარისხზე.

სწრაფი კვების ობიექტში მომუშავე მზია ბერიკაშვილის თქმით, სანიტარული პირობები დაცულია და მათი პროდუქცია აბსოლიტურად უსაფრთხოა მოსახლეობისთვის. მისივე თქმით, ისინი ხარისხიან ნედლეულს იყენებენ და პროდუქციის ხარისხიც მაღალია:

„ჩვენი პროდუქციის ხარისხი საიმედოა, მკაცრად ვიცავთ სანიტარულ წესებს და ობიექტის სისუფთავეს. პროდუქტებსაც სულ ახალს ვიყენებთ და ხშირ-ხშირად ვცვლით ზეთს და ნახმარს ვღვრით," - განაცხადა ბერიკაშვილმა.

გურჯაანის აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე სწრაფი კვების ობიექტის მფლობელის ნელი მაყაშვილის თქმით, მის ობიექტში სანიტარული წესები აბსოლიტურად დაცულია და სტანდარტებს აკმაყოფილებს. მისივე თქმით, ყველის გაძვირების მიუხედავად ისინი ცდილობენ, პროდუქტის ფასი არ გაზარდონ.

გურჯაანელი ლიზა ვარდიაშვილი ენდობა ე.წ. „ფასთ-ფუდების პროდუქციის ხარისხს, თუმცა ხშირად არ მოიხმარს:

„სწრაფი კვების ობიექტების პროდუქციას ვენდობი, მაგრამ იშვიათად ვყიდლობ, დარწმუნებული ვარ, რომ სუფთად და კარგად აკეთებენ ყველაფერს," - თქვა ვარდიაშვილმა.

მანანა სეფიაშვილის აზრით კი სწრაფი კვების ობიექტის პროდუქცია სანდო არაა და ჯანმრთელობისთვის გარკვეულ საფრთხეს შეიცავს:

„ჩემი აზრით სწრაფი კვების ობიექტების პროდუქცია ყოველდღიურად არ უნდა მოიხმარო, ამაზე მედიკოსებიც საუბრობენ. ამას წინათ ტელევიზორში იმასაც ვუსმინე, რომ ბევრ განვითარებულ ქვეყნებში შეიძლება აიკრძალოს ეს პროდუქცია.

ჩვენთან, რეგიონში, კი სიტუაცია მთლიანად გაუკონტროლებელია და ჩემში ეჭვს იწვევს," - განმარტა მანანა სეფიაშვილმა.

მედიის თავისუფლების ხარისხი მისი დაფინანსების წყაროებით იზომება

მაია მამულაშვილი

კახეთის რეგიონში არსებული მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი მნიშვნელოვანად არის შემცირებული, - ასეთი დასკვნა გააკეთეს რეგიონული მედიის წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა ადგილობრივი მედიის შეფასებისას.

ფაქტია, რომ მსოფლიო პრესის თავისუფლების რეიტინგში საქართველომ თავისუფლების მხრივ უკან გადაინაცვლა, რაც იმის დასტურია, რომ მედია გარემო არც თუ სახარბიელოა.

მდგომარეობას ართულებს ის, რომ მედია საშუალებების სოლიდური ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტის დოტაციის ქვეშ იმყოფება, რაც მედია ექსპერტ ზვიად ქორიძის თქმით, თავისთავად იწვევს ცენზურასა და თვითცენზურას.

კახეთის რეგიონის მედია ლანდშაფტი ბოლო დროს კიდევ უფრო კარგად გამოიკვეთა საბიუჯეტო დაფინანსებისა და სარედაქციო გავლენის მიხედვით, რაც პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ:

1. თავისუფალი, დამოუკიდებელი მედია საშუალებები, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან არ ფინანსდებიან; გამონაკლისია მხოლოდ მცირე სარეკლამო შემოსავლები ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რაც მედია კომპანიების საერთო ფინანსირებაში მიზერულ ნაწილს წარმოადგენს;

2. გაზეთები და ტელევიზიები ბიუჯეტის დაფინანსებითა და სრული სახელისუფლო გავლენით;

3. მედია საშუალებები, რომლებიც წლების განმავლობაში რეგულარულ საბიუჯეტო დოტაციას იღებენ, თუმცა დონორების წყაროების მისაღებად ცდილობენ სარედაქციო პოლიტიკა დამოუკიდებელი და გამჭირვალე გახადონ.

ამ სამეულში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პირველი მათგანის, სრულად თავისუფალი მედიის მდგომარეობა, რომელიც მწირი სარეკლამო ბაზრის პირობებში ძალზე რთულად ახერხებს განვითარებას. უარს ამბობს რა საბიუჯეტო რესურსებზე და, ფაქტობრივად, მხოლოდ დონორების დაფინანსების იმედად არსებობს.

ერთ-ერთი ასეთი მედია საშუალება არის, მაგალითად, რადიო „ჰერეთი“, რომელსაც 2010 წელს ბიუჯეტიდან არც ერთი ლარი არ მიუღია. რადიო „ჰერეთში“ განმარტავენ, რომ სარეკლამოდ „ჰერეთის“ ეთერი მხოლოდ 2009 წელს დაეთმო ლაგოდეხის საკრებულოს, რომელმაც რადიო სადგურს მომსახურებისათვის სარეკლამო რგოლი დაუკვეთა.

საბიუჯეტო დოტაციის გარეშე გამოიცემა გაზეთი „კახეთის ხმაც“, რომელიც არც სახელმწიფო და არც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, გამონაკლისია მხოლოდ სიღნაღის მუნიციპალიტეტი, რომლის თანამონაწილეობით გაზეთის ყოველთვიური ჩანართი „სიღნაღის ხმა“ გამოიცემა. პროექტი გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის GTZ-ფინანსური მხრდაჭერით დაიწყო და დღემდე გრძელდება.

მედია ექსპერტ ზვიად ქორიძის აზრით, მედიის განვითარებისათვის საჭიროა ღია და გამჭირვალე სივრცე. ეს ეხება მფლობელობასაც და დაფინანსების წყაროებსაც.

ამავე დროს შეეხო „ტელეკომპანია გურჯაანს“, რომლის სარედაქციო პოლიტიკა ბოლო დროს მნიშვნელოვნად შეიცვალა და იმის მიუხედავად, რომ ბიუჯეტიდან ფინანსდება, თავისუფალი მედიის პრინციპებით მაუწყებლობას აქტიურად ცდილობს.

კახეთის მედიის მთავარი პრობლემა გამჭირვალე ფინანსირებაა. | კახეთის ხმა

ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის მოსაზრებით, კახეთის მედიის მთავარი პრობლემა მწირი სარეკლამო ბაზარი, სადისტრიბუციო ქსელის არ არსებობა და ჟურნალისტური რესურსების სიმცირეა.

„ჩვენ მოწმე ვართ, რომ ჟურნალისტები საჯარო სამსახურებში აქტიურად გადადიან სამუშაოდ, კვალიფიციური ჟურნალისტური რესურსი კი თითქმის არ არსებობს, იმის მიუხედავად, რომ სამ პროექტს ვახორციელებთ და ხელფასებიც ნორმალურია, ჟურნალისტური რესურსის სიმწირეს განვიცდით,“- აღნიშნა მან საკუთარ მოხსენებაში.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საჯარო შეხვედრაზე კახეთის რეგიონის ჟურნალისტებთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. კონსერვატიული პარტიის თელავის ორგანიზაციის თავმჯდომარის გიორგი მოსიაშვილის განცხადებით, კახეთის მედია ძალიან აქტიურია. თუმცა უკმაყოფილობა გამოხატა თელავის საკაბელო არხ „გორდას“ მიერ მაესტროს ტრანსლაციის შეწყვეტის გამო. მანვე უარყოფითად შეაფასა ტელეკომპანია „თანამგზავრში“ გადაცემა დიალოგის ეთერის შეკვეცა, რაც კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გამო მოხდა და მოსახლეობის დიდ ნაწილს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის ხილვის შესაძლებლობა აღარ აქვს.

მედიის თავისუფლების საკითხებზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ ერთ-ერთი პრობლემა საჯარო ინფორმაციის მიღებაცაა. ინფორმაციის მოპოვებასთან ერთად კახეთში დღემდე პრობლემურია პრეს სამსახურების წარმომადგენელთა არაპროფესიონალიზმი და ინფორმაციის დაბლოკვა, რაც მხოლოდ ცენტრალური მედიების წარმომადგენელთა ინფორმირებით და ადგილობრივი ჟურნალისტების იგნორირებით გამოიხატება.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი გოზალიშვილის განცხადებით, ჟურნალისტებთან აქტიურად თანამშრომლობენ და არც ინფორმაციის გაცემის მხრივ არსებობს პრობლემა. შეხვედრაზევე ითქვა, რომ მედიასთან ყველაზე მეტად გახსნილი გურჯაანისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებია.

ჟურნალისტ ხათუნა გოგაშვილის ინფორმაციით, პრეს სამსახურის წარმომადგენელთა და ხელისუფალთა მხრიდან უნდა მოხდეს პრობლემის აღიარება და ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა.

„ხშირია შემთხვევა, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიების დროს მხოლოდ ცენტრალური მედია საშუალებების ინფორმირება ხდება, ხოლო ადგილობრივ ჟურნალისტებს იგნორირებას უკეთებენ,-“ განაცხადა მან.

ჟურნალისტი მადონა ბატიაშვილი კი პრეს სამსახურების წარმომადგენელთა დაბალ კვალიფიკაციას შეეხო და აღნიშნა, რომ საჭიროა მათი მომზადება.

„ჩვენ ჟურნალისტები მუდმივად ვიმაღლებთ კვალიფიკაციას, გვიტარდება ტრეინინგები, ვსწავლობთ, მაგრამ სამწუხაროდ, მეორე მხარე, ვინც ვალდებულია გასცეს ინფორმაცია, არ არის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, რაც იწვევს პრობლემებს“, - განმარტა მან.

შეხვედრას სამოქალაქო ინიციატივების ცენტრმა ჰეინრიხ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით უმასპინძლა ამჯერადაც თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საჯარო შეხვედრა მოამზადა თემაზე: მედია, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტი კახეთში, რომლის მოდერატორი ტელეკომპანია გურჯაანის აღმასრულებელი დირექტორი ლევან ალექსიშვილი, ხოლო მომხსენებლები ჟურნალისტები: ხათუნა გოგაშვილი და გელა მთივლიშვილი იყვნენ.

შეხვედრის სრულ ჩანაწერს სპეციალურ ჩანართში შემოგთავაზებთ, რომელიც გაზეთ „კახეთის ხმის“ უახლოეს ნომერში მომზადდება.

წყლის მაღალი ტარიფისა და უკანონო ქმედებების შედეგები ლაგოდეხში

ხათუნა გოგაშვილი

ლაგოდეხის პოლიკლინიკა სასმელი წყლის გარეშე დარჩა. სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტს, გაერთიანებული წყალმომარაგების ლაგოდეხის სერვისცენტრმა წყლის მიწოდება ისე შეუწყვიტა, რომ დავალიანების დაფარვის გონივრული ვადის განსაზღვრაზე არ უმსჯელია. გადასახადების გადახდაზე პრობლემები კი ლაგოდეხის პოლიკლინიკას მას შემდეგ შეექმნა, რაც წყლის ტარიფი გაიზარდა. პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ მცირე მეწარმეებიც, რომლებიც შექმნილი მდგომარეობის გამო, საწარმოების დახურვის საფრთხეებზე მიანიშნებენ. ისინი დახმარებას რეგიონის გუბერნატორს და საქართველოს პრეზიდენტს სთხოვენ.

წყალმომარაგების ლაგოდეხის სერვისცენტრის შავს სიაში ლაგოდეხის პოლიკლინიკაც აღმოჩნდა. იმის მიუხედავად, რომ პოლიკლინიკა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობექტს წარმოადგენს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ სასმელი წყლის მიწოდება გადასახადის გადაუხდელობის გამო მაინც შეუწყვიტა. ლაგოდეხის რაიონული ჯანდაცვის დირექტორის, მიხეილ ბოჟაძის განცხადებით, პოლიკლინიკისა და სამშობიარო სახლის დავალიანება 2 400 ლარს შეადგენს. ბოჟაძის თქმით, აღნიშნული დავალიანება მხოლოდ მიმდინარე თვის არის, რომლის გადახდაც ახალი ტარიფის მიხედვითაც.

„ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია ახალი ტარიფი, რომლის მიხედვითაც საავადმყოფოს თვეში სავარაუდოდ 3 000 ლარის გადახდა მოუწევს. მაშინ, როდესაც რაიონში წყალი ბევრგან ფუჭად იღვრება და არც მისი ხარისხია დამაკმაყოფილებელი, ეს გადასახადი ძალიან ბევრია,“ – აცხადებს ბოჟაძე.

გაერთიანებული წყალმომარაგების ლაგოდეხის სერვისცენტრის მენეჯერის, დავით გოგოლაძის განმარტებით კი დავალიანება, რომელიც პოლიკლინიკას გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წინაშე აქვს, 788 ლარს შეადგენს. გოგოლაძე აცხადებს, რომ პოლიკლინიკამ წერილობითი გაფრთხილებაც მიიღო

„საავადმყოფო ჯერ კიდევ 10 დღის წინ გავაფრთხილეთ, რომ გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში წყლის მიწოდება შეუწყდებოდათ, თუმცა მათგან არანაირი პასუხი არ მიგვიღია,“ – აცხადებს გაერთიანებული წყალმომარაგების ლაგოდეხის სერვისცენტრის მენეჯერი დავით გოგოლაძე.

იმის მიუხედავად, რომ ლაგოდეხის რაიონულმა ჯანდაცვამ გაფრთხილებაზე რეაგირება არ მოახდინა, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას უფლება არ ქონდა სასიცოცხლო მნიშვენლობის ობიექტისთვის წყლის მიწოდება შეეწყვიტა. ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განმარტავენ. ენერგოომბუცმენი, ვალერი ფხაკაძე აღნიშნავს, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას ასეთ შემთხვევაში ცალმხრივად მაინც უნდა ემსჯელა და გადასახადის გადახდის მიზნით, პოლიკლინიკისთვის გონივრული ვადა თავად უნდა განესაზღვრა.

„თუ სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტა გამოიწვევს ადამიანის სიცოხლის და ჯანმრთელობის გაუარესებას, ან მომხმარებლისათვის არათანაზომიერად ხარჯების გაზრდას, ასეთ შემთხვევაში კომპანია ვალდებული არის მომხმარებელს განუსაზღვროს დამატებითი ვადა დავალიანების გადახდისათვის , რომელიც არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები, მე შემიძლია მიგითითოთ ნორმაზე, ეს არის კომისიის 2008 წლის 32-ე დადგენილების ,მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი. სავალდებულოა კომპანიისთვის ეს პუნქტი შესასრულებლად, საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. თუ მომხმარებელი, გაფრთხილების მიუხედავად, არ შეეხმიანება კომპანიას, ასეთ შემთხვევაში კომპანიამ ცალმხრივად უნდა განსაზღვროს ეს ვადა და ამ ვადის ამოწურვის შემდგომ აქვს უფლება მას შეუწყვიტოს მომსახურება,“ – განმარტავს ენერგოომბუცმენი ვალერი ფხაკაძე და აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ლაგოდეხის პილიკლინიკა, რომელიც დაზარალებული აღმოჩნდა, სემეკს განცხადებით მიმართავს, კომისია ფაქტის განხილვის შემდეგ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიმართ შესაბამის ღონისძიებებს გაატარებს

„მომხმარებელს შეუძლია მომართოს კომისიას და კომისია განიხილავს კომპანიის ქმედების კანონიერების და შემდგომში უკვე პასუხისმგებლობის საკითხს,“ –აღნიშნავს ენერგოომბუცმენი.

პოლიკლინიკის მსგავსად, სასმელი წყლის მიწოდება შეუწყდა ყველა იმ ორგანიზაციას, ვინც გადასახადის გადახდა ვერ შეძლო. პრობლემები ორგანიზაციებს ლაგოდეხში მას შემდეგ შეექმნათ, რაც სემეკის დადგენილების საფუძველზე, ტარიფი გაიზარდა და 1 კუბამეტრი წყლის ღირებულება 4 ლარით და 30 თეთრით განისაზღვრა.

წყლის ტარიფის ზრდას ლაგოდეხში მეწარმეთა უკმაყოფილება მოყვა. ორგანიზაციათა დიდი ნაწილი წყლის მაღალი გადასახადის გამო, მძიმე ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ.

გაერთიანებული წყალმომარაგების ლაგოდეხის სერვისცენტრის მენეჯერის, დავით გოგოლაძის განმარტებით, სემეკმა საქართველოში ერთიანი ტარიფი დააწესა.

ერთიანი ტარიფის დადგენას მიუღებლად მიიჩნევენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გოზალიშვილი აცხადებს, რომ ლაგოდეხში, სადაც მცირე ბიზნესია განვითარებული დღეისათვის დადგენილი ტარიფი საკმაოდ მაღალია.

ლაგოდეხში ამბობენ, რომ დღეისათვის დაწესებული წყლის ტარიფით გადასახადის გადახდას ვერ შეძლებენ, აღნიშნავენ, რომ ფინასური პროლემების წინაშე აღმოჩდნენ, რაც შესაძლოა ზოგიერთი საწარმოს შეჩერების მიზეზიც კი გახდეს და მცირე ბიზსნესის განვითარება რაიონში შეფერხდეს. მეწარმეები დახმარებას რეგიონის გუბერნატორს და რეაგირებას საქართველოს პრეზდენტს სთხოვენ.

ვიდრე გადახდის აღნიშნული სისტემა ამოქმედდებოდა, ლაგოდეხში წყლის გადასახადის გადახდა სულადობის მიხედვით ხდებოდა და ერთ სულზე თვეში 30 თეთრს შეადგენდა

საქართველოში მალე ხორცის რეალიზაციის ახალი სტანდარტები დაწესდება

ნინო ჭაბაშვილი

სოფიკო ნიკოლაშვილი

საქართველოში, უახლოეს მომავალში, ხორცის დამუშავებისა და რეალიზაციის ახალი სტანდარტები დაინერგება. იგი, ამ ეტაპზე, თბილისში ამოქმედდა, მაგრამ უახლოეს მომავალში მთელ საქართველოში პირუტყვის გაყიდვისა და ხორცის დამზადების ახალი სტანდარტები სავალდებულო გახდება.

სიახლე კი იმაში მდგომარეობს, რომ ფერმერი პირუტყვს თავისუფლად ვეღარ გაყიდის, რადგან გარკვეული „ბიუროკრატიის" გავლა მოუხდება და შეზღუდვებსაც დაუწესებენ. დღემდე ფერმერი თუ გლეხი, ვისაც ძროხა ყავდა, კლავდა და თავად ყიდდა. ხშირ შემთხვევაში ხორცის რეალიზაციისთვის უკავშირდებოდნენ ყასაბს, რომელიც ხორცს სოფლის ბაზარსა და ტრასებზე ყიდდა. დღემდე გლეხს არავინ ზღუდავდა საკუთარი ნაშრომის გაყიდვაზე.

თუ ამის მეორე მხარეზე ვისაუბრებთ, ხშირ შემთხვევაში ასეთი გზით რეალიზებული ხორცი შეუმოწმებელი იყო და არც დაკლული პირუტყვის ჯანმრთელობაზე არსებობდა გარანტია.

ამ ეტაპზე კახეთში შეზღუდვები არ არსებობს და ხორცზეც ძველებური ფასებია შენარჩუნებული. სიღნაღის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ზედელაშვილის განცხადებით, ჯერჯერობით თვითმმართველობას არ მისვლია ინფორმაცია შეზღუდვების შესახებ:

„ეს ინფორმაცია თუ მოვა, აუცილებლად გააფრთხილებენ ფერმერებს, ჯერჯერობით მათ ხორცის რეალიზაცია ბაზრებში არ ეკრძალებათ," – ამბობს ზედელაშვილი.

სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, იზრუნოს ხორცის ხარისხსა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ამიტომ დროთა განმავლობაში ხორცის პროდუქტების რეალიზაცია გარკვეულ სტანდარტებში უნდა ჩაჯდეს. ხორცი გაყიდვამდე უნდა ინახებოდეს მაცივარში და ქუჩებში არ იყოს ჩამოკიდებული. ასევე ჰიგიენის ნორმები უნდა იყოს დაცული და არსებობდეს გარანტია, რომ ჯანმრთელობისთვის საშიში არ იქნება. სავარაუდოთ, აღნიშნული სტანდარტების დაცვის შემდეგ ხორცზე ფასი ორმაგად მოიმატებს, რეალიზაცია დაიკლებს და ხორცის ბიზნესში დასაქმებული ადამიანების დიდი ნაწილი უმუშევარი დარჩება. ამისათვის თურმე საჭიროა რაც შეიძლება ნაკლები „შუალედული რგოლი" არსებობდეს.

ავთო გოგიაშვილი გურჯაანის აგრარულ ბაზარში ხორცს ყიდის. იგი აცხადებს, რომ ხორცს სოფელ კაბალში ძვირად ყიდლობს და ამიტომ იძულებულია ფასი გაზარდოს:

„ზამთრის პერიოდში ხორცი ყოველთვის ძვირდება 50 თეთრიდან 1 ლარამდე, თუმცა წელს გაცილებით მოიმატებს მისი ფასი. რადგან საქონელსა და ხორცს კაბალში იაფად ვეღარ ვყიდულობ, აქედან გამომდინარე ძვირს ვიხდი და მეც იძულებული ვარ ფასი მოუმატო. არის კიდევ ერთი მიზეზი – საწვავისა და ნედლეულის გაძვირება, ასევე ღორის საჭმელი ქერი გაძვირდა, კრიზისია და ეს ყველაფერი ფასებზე აისახება," – ამბობს გოგიაშვილი.

ხორცის ფასის მომატების სხვა გამომწვევ მიზეზებზე საუბრობს გურჯაანელი ყასაბი ირაკლი ლომაძე. იგი ამბობს, რომ სულ მალე აუკრძალავენ თვითნებურად საქონლის დაკვლასა და შესაბამის პუნქტში მიტანის გარეშე ბაზარში ხორცი აღარ შევა. ხორცის ბიზნესში ჩართულ ადამიანებს სხვადასხვა ინფორმაცია აქვთ, ზოგი ფიქრობს, რომ მხოლოდ ქართლშია პირუტყვის დასაკლავი ობიექტი, ზოგი ამბობს, რომ ყარაჯალაშიც შეიძლება პირუტყვის დაკვლა:

„ჯერჯერობით ხორცზე ფასები ისევ ისეთია თუმცა მოიმატებს. ეს მან გამოიწვია, რომ საქონლის დასაკლავ ობიექტს აკეთებენ და მალე აგვიკრძალავენ თვითნებურად საქონლის დაკვლას. დასაკლავი ობიექტი მთელი კახეთის მასშტაბით მხოლოდ ყარაჯალაშია, იქ უნდა წავიყვანო საქონელი და ყასაბმა უნდა დაკლას, შემდეგ ხორცი უნდა დარჩეს შესამოწმებლად და სხვადასხვა პროცედურა უნდა გაიაროს, ეს რათქმაუნდა დროსთან და ფინანსებთან არის დაკავშირებული. დაგვჭირდება უფრო ბევრი საწვავი და რათქმაუნდა ამის ხარჯზე მოიმატებს ხორცზეც ფასი და დაახლოვებით 10 დან 15 ლარამდე იმერყევებს," - ამბობს ლომაძე.

ხორცის ბიზნესში დასაქმებული წნორელი თამაზ ტუხაშვილი ამბობს, რომ ახალი სტანდარტების მიხედვით ხორცის ლაბორატორიული შემოწმება მოხდება:

„ბოინის არსებობა აუცილებელია, რადგან იქ ხორცის დამუშავება და ლაბორატორიული შემოწმება ხდება და უფრო უსაფრთხოდ ინახება. მაგრამ ხორცის ბიზნესში დასაქმებული ადამიანებისთვის არამომგებიანი პოზიცია იქნება, თუ კახეთში გაიხსნება ჩამბარებელი პუნქტები, ფერმერებს აიძულებენ აქ პუნქტებში ჩააბარონ პირუტყვი. ამჟამად კახეთში არ არის ბოინი, ამიტომ ქართლში უნდა წაიყვანონ პირუტყვი, იქ დაკლან, შემდეგ მეხორცეებმა იქიდან ჩამოიტანონ ხორცი და გაყიდონ. ეს ცხადია ხორცზე ფასს გაზრდის და მყიდველიც შემცირდება. სოციალურად ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას უფრო მეტად გაუჭირდება ხორცის ყიდვა", – ამბობს ტუხაშვილი.

ყასბების თქმით, მოსახლეობას ხორცში 7-8 ლარის გადახდა უჭირს და როგორც საინფორმაციო საშუალებებში აცხადებენ ხორცის ასაღები ფასი 9-10 ლარი იქნება. ახლა თუ ყასბები ხორცს 5 ლარად იძენენ, შემდეგ გადაიხდიან 4 ლარით ძვირს, ამიტომ იძულებულნი იქნებიან 3-4 ლარით გაზარდონ ხორცის ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში ქირას, გადასახადსა და სხვა ხარჯებს ვერ დაფარავენ. ჯერ ისიც საეჭვოა, რომ ხორცის გაძვირების შემთხვევაში ეს ბიზნესი კვლავ მომგებიანი იყოს.

ფერმერი ჰამლეტ დუღაშვილი ფიქრობს, რომ ახალი სტანდარტების მიხედვით ფერმერები დაზარალდებიან და სანამ სტანდარტებს მიიღებენ, აზრი ფერმერებისთვისაც უნდა ეკითხათ:

„როგორც გავარკვიე, ბოინში რომ მიიყვან საკლავს, აწონიან ცოცხალ წონას და კილოგრამზე გატოვინებენ ერთ ლარს, თანაც იმაზე ნაკლებს გიხდიან, ვიდრე ადგილობრივი ყასბები. რატომ უნდა ვიზარალო მე და მოგება ნახონ იმ ბოინის მფლობელებმა, არ მესმის. რა გამოდის, რომ ჩემივე გაზრდილ ძროხას ფაქტიურად მართმევენ. სამას კილოიან ძროხაში სამასი ლარი რატომ უნდა დავტოვო, როცა შემიძლია გავიტანო ხორცი ბაზარში და გავყიდო?! ხომ შეიძლება, ფერმერებთანაც გაეგლოთ კონსულტაცია და ჩვენთვისაც ეკითხათ აზრი? არ შეიძლება ერთ მხარეს აწყობდეს და მეორე მხარეს არა. ვფიქრობ, ცოტახანში ფერმერობა ყველაზე წამგებიანი გახდება. დახმარების მაგიერია, გასულ წლებში, ხან რა დაავადებამ დაგვიხოცა საქონელი ხან რამ?! ისედაც ძლივს გაგვაქვს თავი," - ამბობს ფერმერი დუღაშვილი.

წნორელი და გურჯაანელი ყასბები ამბობენ, რომ თუ კანონი გამკაცრდება და საჭირო იქნება ბოინის გახსნა, კახეთიდან ძროხებს სხვა რეგიონებში არ გაატანენ და არ დაუშვებენ იმას, რომ მათ მომხმარებელს ორმაგ ფასში მოუხდეთ ხორცის ყიდვა. ამბობენ, რომ ყასბები გაერთიანდებიან, შესაძლოა მათ ფერმერებიც შემოუერთდნენ და გახსნიან ბოინს, სადაც თავადვე დაამუშავებენ ხორცს. სიღნაღის მუნიციპალიტეტში საკმაოდ ბევრი ყასაბია და აქ სპეციალური ხორცის ბაზარიცაა. ყასბები იმასაც ამბობენ, რომ დღესაც დაცულია ხორცის შენახვის უსაფრთხოება, გაყიდვამდე ხორცს მაცივარში ინახავენ, ბაზარში შემოტანამდე კი ბაზრის ლაბორანტი ამოწმებს.

პროდუქტებზე ფასების ასეთმა თამაშმა მოსახლეობა აღაშფოთა და თვლის, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ფასების დარეგულირებაზე.

ნელი კობახიძე დიასახლისია, ამბობს, რომ ფასების ზრდამ ხალხი ცუდ დღეში ჩააგდო, რადგან უმეტესობა უმუშევარია:

„ფასებმა იმატა ყველაფერზე და ეს ხალხისთვის ძალიან ცუდია, რადგან ჯერ ერთი საზოგადოების დიდი ნაწილი არ მუშაობს, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც მუშაობენ არჩენენ მთელ ოჯახს და როდესაც ფასები მატულობს ხარჯი რათქმაუნდა იზრდება. მოგეხსენებათ, რომ ხელფასები დღეს ჩენს საზოგადოებას მაღალი არ აქვს. დრო აღარ მოვიდა, რომ სახელმწიფომ იზრუნოს და ფასები დაარეგულიროს?," - ამბობს დიასახლისი ქალბატონი ნელი კობახიძე.

იგივეს ფიქრობენ სხვებიც. დიასახლისი ნინო ქაჩლიშვილი ამბობს, რომ ფასების ზრდა ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველ ფენებზე აისახება:

„ფასები მომატებულია ყველაფერზე და ხორცზე ფასის მომატება უკვე ნამეტანია, თუმცა ხორცის ხარისხი თუ დაცული და ლაბორატორიულად შემოწმებული იქნება, კარგია. ფასების მატება ყოველ მოქალაქეზე აისახება და განსაკუთრებით ეს სოციალურად დაუცველ ფენებზე აისახება," – ამბობს ნინო ქაჩლიშვილი.

ცივ სეზონზე შესაძლოა მენინგოკოქცემიის შემთხვევებმა იმატოს

ზვიად ბიაშვილი

ცივ სეზონზე სხვადასხვა ვირუსული და ბაქტერიული დაავადებები აქტიურ ფაზაში შედის. ზამთარი მოსახლეობისთვის ძირითადად გრიპის სეზონთან ასოცირდება, თუმცა ისეთი მძიმე დაავადება, როგორიც მენინგოკოქცემიაა, ბავშვებში საკმაოდ ხშირია.

მენინგოკოქცემია მენინგიტის ერთ-ერთი ფორმა და საკმაოდ ვერაგი დაავადებაა, რითაც საქართველოში საკმაოდ ბევრი ბავშვი გარდაიცვალა.

აღნიშნული დაავადება საშიშია კიდევ იმიტომ, რომ მისი გამომწვევი ბაქტერია ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ სწრაფად ვითარდება და კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მცირეოდენმა დაგვიანებამ შეიძლება მომაკვდინებელი შედეგი გამოიწვიოს.

დაავადების გავრცელებასა და მისგან თავდაცვაზე გვესაუბრა გურჯაანის ჯანდაცვის ცენტრის ექიმ ეპიდემიოლოგი ნანი ბაცანაძე.

ექიმის თქმით, მენინგოკოქცემია ბაქტერიული დაავადებაა რთული კლინიკით და საბედნიეროდ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არცერთი შემთხვევა დაფიქსირებულა:

„მენინგოკოქცემიას ბაქტერია მენინგოკოკი იწვევს და საკმაოდ საშიში დაავადებაა. რაც შეეხება კლინიკას, იგი იწყება უეცარი მაღალი ტემპერატურით, ღებინებითა და თავის ტკივილით რასაც სხეულზე სისხლჩაქცევები მოდევს", – ამბობს ბაცანაძე.

ეპიდემიოლოგის თქმით, მენინგოკოქცემიით დაავადების რისკ ჯგუფები 7-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები არიან. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პაციენტის სწრაფად იზოლირებასა და კლინიკაში მოთავსებას, რაც მაქსიმალურად შეამცირებს გარშემომყოფთა დაავადებას, რადგან ბაქტერია საკმაოდ მდგრადია და ადამიანიდან ადამიანზე ჰაერწვეთოვანი გზით გადადის:

„მენონგოკოქცემიის ბაქტერია ადამიანიდან ადამიანზე ჰაერ წვეთოვანი გზით გადადის. მას საკმაოდ მოკლევადიანი საინკუბაციო პერიოდი აქვს. არსებობენ ამ ბაქტერიის მატარებელი ადამიანები. დაავადება ერთი ადამიანიდან მეორეზე, რომ გადავიდეს საჭიროა ამ ორი ადამიანის ერთმანეთთან ახლოს ხანგძლივი ყოფნა. ახლოს ყოფნაში ვგულისხმობ დაახლოვებით ნახევარ მეტრს", – ამბობს ეპიდემიოლოგი.

ბაცანაძის თქმით, დაავადებას გაცილებით რთულად იტანენ სუსტი იმუნური სისტემის მქონე ადამიანები. რაც შეეხება პრევენციას, დაავადებულს მაქსიმალურად უნდა ერიდონ ბავშვები:

„აუცილებელია ბავშვები მაქსიმალურად მოვაშოროთ მენინგოკოქცემიით დაავადებულ ადამიანს, ვიზრუნოთ ბავშვის იმუნური სისტემის გაძლიერებაზე, მივცეთ ექიმის მიერ დანიშნული ვიტამინები და შევუდგინოთ სრულფასოვანი კვების რეჟიმი.

პრევენციული ზომების ფარგლებში ხშირად უნდა განიავდეს ოთახები და სრულიად სახლი. აუცილებელია სუფთა ჰაერზე სეირნობა და რაც მთავარია ეს ბაქტერია გრიპის თანმდევია და ამიტომ ბავშვები უნდა მოვარიდოთ გაციებას", – განაცხადა ექიმ ეპიდემიოლოგმა.

სოსო მიქელაძე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პოსტისათვის ემზადება

სოფიკო ნიკოლაშვილი

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სავარძელს, სავარაუდოდ, ამავე უნივერსიტეტში ახლადანიშნული მრჩეველი სოსო მიქელაძე დაიკავებს.

ბოლო დროს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარშემო ატეხილი სკანდალების შემდეგ, უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან წავიდა. ამის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა.

„ჯახეთის ხმამ" სოსო მიქელაძესთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა: შევეცადეთ გაგვერკვია აპირებს თუ არა სოსო მიქელაძე რექტორის ვაკანტური თანამდებობის კონკურსის დასაკავებლად განაცხადის შეტანას და თუკი რექტორობისათვის იბრძოლებს, რა იქნება მისი პროგრამის მთავარი ხაზი.

- გავრცელდა ხმა, რომ აპირებთ თელავის უნივერსიტეტის რექტორის ვაკანტურ თანამდებობისთვის გამოცხადებულ კონკურსზე განცხადების შეტანას. მართლა გეგმავთ კონკურსში მონაწილეობას?

- ჯერ დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. თუმცა ვერ გამოვრიცხავ.

- თუ მიიღეთ გადაწყვეტილება, რა იქნება თქვენი მიზანი?

- ახალგაზრდების სოციალური კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მაგრამ ბევრს არ ესმის ეს ფრაზა. ახალგაზრდა იმდენად კონკურენტუნარიანი უნდა იყო, რომ შენს მოთხოვნილებაზე მაღლა ვერაფერი იდგეს და იყიდებოდეს. დღეს რეგიონს რატომ უჭირს? იმიტომ, რომ არ აყავს წარმატებული ადამიანების ფენა, ვისაც შეუძლია იდეებისა და პროექტების გენერირება. შესაბამისად, მუდმივი საკადრო, ლიდერული და მენეჯერული დეფიციტია რეგიონში.

- თქვენ დაინიშნეთ თელავის უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველად, როგორც უნივერსიტეტის ახალ თანამშრომელს ისე გკითხავთ, საზოგადოების დამოკიდებულება უნივერსიტეტის მიმართ არ არის ერთმნიშვნელოვნად დადებითი, რადგან რაღაცეები ძველი ეპოქიდან ქონდა შემორჩენილი. ამ ფაქტს როგორ უყურებთ და რამდენად შეიძლება ცვლილებების განხორციელება ამ კუთხით?

- ცვლილება ყოველთვის შესაძლებელია თუ არსებობს ადამიანის კეთილი ნება, ძლიერი მენეჯმენტი და რასაკვირველია ხედვა. ვფიქრობ და ალბათ ჩემი ცხოვრებაა ხედვითი ლიდერობისა და მენეჯმენტის გამოვლინება, აქედან გამომდინარე ყველას ვურჩევ ჩამოყალიბდნენ, რა პერსპექტივებს ხედავენ, 5-10 წლის განმავლობაში რა უნდა გაკეთდეს. აქედან გამომდინარე, თვითონ ეს ხედვა იშლება შემდეგ უკვე სტრატეგიულ გეგმებად, ამოცანებად და ასე შემდეგ.

- როგორ ფიქრობთ, უნივერსიტეტს ეს ხედვა და მისია არ აქვს?

- რასაკვირველია აქვს, მაგრამ მასში ცვლილებებია შესატანი, ან თავიდანაა დასაწერი ახალი რეალობის შესაბამისად. შეიძლება ძალიან მისაღები იყო ეს ხედვა 2006 წლისთვის სანამ ბოლონის პროცესს აქტიურად შეუერთდებოდნენ. დღეს უფრო სხვა აზროვნება, ღირებულებები, საქმიანობები და გამოწვევებია საჭირო.

- უნივერსიტეტში პრობლემები მას შემდეგ შეიქმნა, როდესაც ძველი თაობის პედაგოგების გათავისუფლება დაიწყო და მათ მოთხოვეს კონკურსების გავლა.

როგორ ფიქრობ, რამდენად არის შესაძლებელი ახალი ადმინისტრაციის პირობებში გაგრძელდეს იგივე პროცესი, თქვენი აზრით, ეს ადამიანები უნდა დარჩენილიყვნენ თუ არა სამსახურში?

- საქმე ის არაა პედაგოგები ახლები არიან თუ ძველი, თუ ლექტორი პროფესიონალია, კრიტერიუმი, რომ ეს ადამიანი ძველია, ამის გამო უნდა გათავისუფლდეს? პროფესიონალიზმი, თავდადება და კომუნიკაციური ეფექტურობა არის ის, რაც უნდა გადასცენ სტუდენტებს. ადამიანი შესაძლოა გენიოსი იყოს და საოცარ ცოდნას ფლობდეს, მაგრამ რამდენად შეღწევადია სტუდენტის გონებაში ამ გენიოსის გადმოცემული, უაღრესად მნიშვნელოვანია. ეს ყველაფერი, რაც პროფესიონალიზმის შემადგენელი კომპონენტებია თუ ლექტორს აქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ ის საბჭოთა კავშირის დროს მუშაობდა, ან 70-იან წლებში მოღვაწეობდა, ამის გამო სამსახურიდან გაშვება არასწორია.

- საზოგადოებას აინტერესებს ვინც აფასებს ამ კრიტერიუმებს, ვინ არის გადაწყვეტილების მიმღები პირი, აკმაყოფილებს თუ არა სტანდარტებს.

საზოგადოებაში ჩნდება კითხვა, რა კრიტერიუმებით ხდება შეფასება? რატომღაც ამან პრობლემა წარმოშვა და როდესაც მსგავსი რამ ხდება უნივერსიტეტში, პროცესი უნდა იყოს გამჭირვალე. საზოგადოებისთვის ზოგიერთი რამ, რაც მნიშვნელოვანი იყო, რატომღაც არ იყო გამოტანილი საჯაროდ და როგორ ფიქრობთ, ამან წარმოშვა ის დიდი პრობლემები უნივერსიტეტში?

- საერთოდ ყველა საუნივერსიტეტო სამსახურს უნდა ქონდეს გეგმა.

მინდა შევქმნა გარკვეული ბრენდი თელავის უნივერსიტეტისა, რადგან კახეთში ბევრმა არ იცის რა პლიუსები აქვს თელავის უნივერსიტეტს. ძირითადი სამიზნე უნდა იყოს ის ახალგაზრდა, ვინც მიდის თბილისში. მაგალითად, დედოფლისწყარო. სამიზნე იკარგება თელავის უნივერსიტეტისთვის და მიდის თბილისში. ასე რომ პიარმა უნდა იმუშაოს ძალიან კარგად და ზუსტად იმას უნდა აცნობდეს საზოგადოებას ვთქვათ რატომ გაანთავისუფლეს ეს ადამიანები. შესაძლოა ერთ-ერთი მიზეზი რატომაც მოხდა ეს ყველაფერი ისიც იყო, რომ ვერ მოხდა ამის ობიექტურად გაშუქება, გოცირიძის სკანდალს ვგულისხმობ. საზოგადოებამ ეს ვერ გაიგო. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშანია ჭორი და ნეგატიური ინფორმაცია უკეთ ვრცლდება.

- როგორ ფიქრობთ, თელავის უნივერსიტეტში კვალიფიკაციის პრობლემა დგას თუ არა და ჭირდება უნივერსიტეტის პერსონალს გადამზადება?

- რასაკვირველია. ქვეყანაში ყველა რგოლს ჭირდება გადამზადება და სისტემატური მუშაობა თავის თავზე.

- რას ფიქრობთ დაძლევადია თელავის უნივერსიტეტისთვის ეს პრობლემები? ხშირად საზოგადოებას აქვს მიუღებლობის გრძნობა ასეთ თემებთან დაკავშირებით. ხშირად სტაგნაციამდეა მისული განათლებული ადამიანი და თვლის, რომ მას აღარ სჭირდება გადამზადება, შესაძლებელია თუ არა არსებული ბაზის შეცვლა?

- კი, ეს პრობლემა დაძლევადია. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ გადამზადება აუცილებელია, რადგან დღეს არსებული რეალობიდან ცოტა შორს ვართ და ახლოს რომ მივიდეთ, გვჭირდება ახალი ღირებულებების მიღება, თუმცა ეს არ უნდა იყოს

საზოგადოებაში პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა დაბალია

ნატალია ცისკარაშვილი

დღეს, საზოგადოების პირად პასუხიმგებლობასა და ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებაზე ბევრს საუბრობენ. პირადი პასუხისმგებლობა საკმაოდ ფართო ცნებაა და უამრავ წვრილმანს მოიცავს.

მოქალაქეებს ესმით, რომ საჭიროა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ქუჩებისა და სკვერების დასუფთავება და ა.შ., თუმცა არავინ საუბრობს საიდან შეიძლება დაიწყოს ქვეყანაში სამოქალაქო კულტურის ღირებულებების დამკვიდრება.

მედია ექპერტი, ზვიად ქორიძე სამოქალაქო ღირებებულებების რანგირებაზე საუბრობს და ამბობს, რომ ჩვენთან დუნეთ მიდის ამ ღირებულებებისადმი ერთგულება. როგორც ზვიად ქორიძე ამბობს, კომპლექსები და რაღაც საქმის კეთების სირცხვილი ვერასდროს დაამკვიდრებს იმ ღირებულებების მინიმუმსაც კი რასაც პირადი პასუხისმგებლობა ქვია:

„ეს, ფართო ცნებაა და უამრავ წვრილმანს მოიცავს. ზოგადად, ყოფითი სამოქალაქო ღირებულებაა მაგალითად როგორ უნდა დავიცვათ საზოგადოებრივი წესრიგი, როგორ არ უნდა დავანაგვიანოთ ქუჩა, როგორ არ უნდა დავარღვიოთ საგზაო წესრიგი და ასე შემდეგ.

არსებობს უფრო მაღალი რანგის სამოქალაქო ღირებულებები, მაგალითად რომ არ უნდა გავაყალბოთ არჩევნები, რომ არ უნდა მივცეთ და არ უნდა ავიღოთ ქრთამი არა სამართლებრივი კატეგორიებით, არამედ თვითონვე არ უნდა დავუშვათ წმინდა სამოქალაქო ნორმებით. როდესაც ეს კომპლექსი მუშაობს, ზუსტად ხერხდება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება", - ამბობს მედია ექსერტი ზვიად ქორიძე.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, ექსპერტების თქმით, პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურად ჩამოყალიბებული საზოგადოების არსებობასთან. სამოქალაქო ღირებულებებისაკენ ყველა ქვეყანა უნდა ისწრაფოდეს, მყარი სისტემის ჩამოყალიბებისთვის. მისივე თქმით, სწორედ მინი ღირებულებებზე შენდება პასუხიმგებლობის მთელი სისტემა:

„ჩვენ შემთხვევაში ძალიან დუნეთ მიდის სამოქალაქო ღირებულებებისადმი ერთგულება. მთელი ამ პროცესების მანძილზე ვიბრძვით იმისთვის, რომ ღირებულებების რაღაც სისტემა ჩამოყალიბდეს და უცბად ამოვარდება ისეთი ღირებულება, რომელიც საკმაოდ უცნაური და ცოტათი არქაულია. მაგალითად ის, რომ სირცხვილად ითვლება ქუჩაში წესრიგი, წითელ შუქნიშანზე გაჩერება რათა ფეხით მოსიარულემ გადაჭრას ქუჩა, რომ მიწისქვეშა გადასასვლელით იმოძრაო, რომ ქუჩაში არ დააგდო სიგარეტის ნამწვი და მზესუმზირის ჩენჩო, რომ ქუჩაში არ გადააფურთხო. ეს მცირე ჩამონათვალი სამოქალაქო მინი ღირებულებებია, რომელზეც დიდი იდეალები ფუძვნდება", - ამბობს ზვიად ქორიძე.

პედაგოგებს მიაჩნიათ, რომ სამოქალაქო კულტურის შესწავლა სკოლის ასაკიდან უნდა იწყებოდეს, რათა მოქალაქეთა პირადი პასუხისმგებლობის გრძნობამ ზედა საფეხურზე გადაინაცვლოს. ნანა თევდორაშვილს მიაჩნია, რომ სხვადასხვა სახის კომპლექსები ბავშვში პასუხისმგებლობის გრძნობას არ აჩენს:

„პირადად პასუხისმგებლობის გრძნობა გამაჩნია, რადგან მშობლებმა ბავშვობიდან მიმაჩვიეს წესრიგსა და პუნქტუალობას. ახალგაზრდებს ამ საკითხზე ბევრი ლაპარაკი და სწავლა სჭირდებათ ოჯახშიც და სკოლაშიც. ორი შვილი მყავს და ვცდილობ ისე აღვზარდო, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა არ დაკარგონ. სკოლაში ისეთი სიტუაციაა, ბავშვმა გაკვეთილი რომც იცოდეს, აღარ ყვება, სირცხვილია სულ მე ხომ არ ჩავბარებ მასწავლებელსო. ამით, ბავშვი დროთა მანძილზე კომპლექსდება და ამასთან ერთად პასუხისმგებლობის გრძნობასაც ნელ-ნელა კარგავს", - ამბობს ნანა თევდორაშვილი.

ნატუკა.

მოსწავლეები ფიქრობენ, რომ პირადი პასუხისმგებლობის სწავლა არამარტო სკოლაში, არამედ ოჯახშიც უნდა ასწავლიდნენ ბავშვს.

16 წლის ნატუკა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში სწავლობს. მას მიაჩნია, რომ ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი ოჯახს, შემდეგ კი პედაგოგებს მიუძღვით:

„მგონია, რომ ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბება მხოლოდ ოჯახში ან სკოლაში არ ხდება. ბავშვი თითქმის თანაბარ დროს ატარებს სკოლაში, შემდეგ რეპეტიტორებთან და ბოლოს სახლში. მოსწავლისთვის დღე სკოლით იწყება, ამიტომ როცა სკოლაში არაჯანსაღი სიტუაციაა და ბავშვები მასწავლებლებს არაფრად აგდებენ, ძნელია პირადი პასუხისმგებლობის დონე იკითხო. მოსწავლეების გარდა, პედაგოგებსაც უნდა ქონდეთ ქცევის სტანდარტები, ამაზე ჩემს სამეგობრო წრეში ბევრს ვმსჯელობთ", - ამბობს

მოქალაქეებს ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მწვავე შენიშვნები აქვთ. ისინი ამბობენ, რომ ყოველმა ადამიანმა თავი ვალდებულად უნდა იგრძნოს საზოგადოებისა და ერთმანეთის წინაშე. ცისია ბიჭორიშვილის აზრით, პირადი პასუხისმგებლობა მხოლოდ სკოლაში არ შეიძლება ისწავლოს ბავშვმა:

„შეიძლება ამ საკითხში კომპეტენტური არვარ, მაგრამ ჩემი აზრი მაქვს შექმნილი და ვფიქრობ, რომ პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ჩვენში ძალზე დაბალია, რაც გამოიხატება ყოველი ფეხის ნაბიჯზე. გული მწყდება, რომ ახალგაზრდებში ეს გრძნობა დაბალია და თითქმის დავიწყებულიც. საერთოდ, ვფიქრობ, რომ თუ ოჯახში ბავშვი გარკვეულ ღირებულებებზე სწორად იზრდება, ასეთი ადამიანი სამომავლოდ წესითა და რიგით მსგავსი პრობლემის წინაშე აღარ უნდა დადგეს. კარგი იქნება ამ მხრივ თუ მიეხედება, რადგან შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ხალხი ამის საჭიროებას ვერ ხედავს", - ამბობს ბიჭორიშვილი.

პირადი პასუხისმგებლობის დაბალ დონეზე საუბრობენ სხვა მოქალაქეებიც. ეთერ ოსიაშვილის თქმით, ადამიანებმა უნდა იცოდნენ რა მოვალეობები აკისრიათ და სწორად უნდა ათვითცნობიერებდნენ იმ შედეგებს, რაც შეიძლება მოყვეს მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს:

„მანამ სანამ პირადი პასუხისმგებლობის გათვითცნობიერებას დაიწყებს მოზარდი თუ ეს ცნება რას ნიშნავს და ვის წინაშე რა მოვალეობები აკისრია, უნდა არსებობდეს სახელმძღვანელო და სკოლაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგნად ითვლებოდეს. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრების, ამ შეთხვევაში პედაგოგების არსებობა, რომელსაც განათლების სამინისტრო მიანდობს აღსაზრდელების ბედს.

პირადი პასუხისმგებლობის კარგად გათვითცნობიერებისა და სწავლისთვის ეროვნული გამოცდების ტესტებშიც შეიძლება იყოს საკითხები შეტანილი, ან სკოლებში გაცვლითი შეხვედრები ტარდებოდეს და სკოლები ამაში ეჯიბრებოდნენ. ასეთი მნიშვნელოვანი ძვრები თუ სკოლებიდან არ დაიწყო, ჩამოყალიბებულ ადამიანებს რამდენიც გინდა ელაპარაკე, მოცლილად ჩაგთვლიან. ამ საკითხებზე მუშაობა სკოლამდელი დაწესებულებებიდანვე უნდა იწყებოდეს და ეს უნდა იყოს განათლების სამინისტროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი", - ამბობს ოსიაშვილი.

თელავის სამხატვრო სკოლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი 2011 წელს დაიწყება

სოფიკო ნიკოლაშვილი



თელავის სამხატვრო სკოლის შენობის რეაბილიტაცია დღემდე მიმდინარეობს. იმის გამო, რომ შენობა ავარიული იყო და გადაუდებელ შეკეთებას საჭიროებდა, გასულ წელს თელავის მუნიციპალიტეტმა სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 35 000 ლარი გამოყო. ამ დროისთვის სამხატვრო სკოლაში სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა, ხოლო მეორე ეტაპი 2011 წლის გაზაფხულზე დაიწყება.

სამუშაოების ფარგლებში გამაგრდა შენობის საძირკველი და კედლები, გადაიხურა ჭერი, მოეწყო სველი წერტილები და გაკეთდა შემოსასვლელი აივანი. მიუხედავად ჩატარებული სამუშაოებისა, კვლავ რჩება პრობლემები, რომელიც როგორც ოფიციალური პირები აცხადებენ, მეორე ეტაპის ჩატარების შემდეგ მოიხსნება. სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზსაც მეორე ეტაპზე შეაკეთებენ.

ახალი სასწავლო წელს თელავის სამხატვრო თუმცა სამხატვრო სკოლა პომპეზურად არ გახსნილა, თუმცა ახალი სული ჩაუდგეს და კვლავ აგრძელებს თავის მოღვაწეობას და ზრდის მომავალ ხელოვან ადამიანებს.

„ჯახეთის ხმა“ ესაუბრა თელავის სამხატვრო სკოლის ხელმძღვანელს ვახტანგ ლაცაბიძეს. მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ სამხატვრო სკოლას 56 წლის განმავლობაში სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებია:

„56 წელია რაც სამხატვრო სკოლის შენობაში სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა. სკოლას ესაჭიროებოდა კაპიტალური რემონტი, რადგან შენობა ავარიული გახლდათ. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სამუშაოები, მთლიანად დაბზარული იყო შენობის საძირკველი და სჭირდებოდა გამაგრება. შენობას მოაშორეს ნალესი რათა გამოჩენილიყო ძველი ფასადი, გამაგრდა შენობის თაღოვანი ნაწილი, მოხდა კედლების გამაგრება, მთავარ კედლებში გაატარეს რკინის შველერები. ასევე გამოიცვალა შენობის სახურავი, გაკეთდა სველი წერტილები, გამოიცვალა შემოსასვლელი კარ-ფანჯარა და აივანი. მოხდა აივნის მოჩუქურთმება რამაც თელავის სამხატვრო სკოლას ახალი სახე შესძინა. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის დაიხარჯა 56 ათასი ლარი, რომელიც გამოყო თელავის მუნიციპალიტეტმა“- აღნიშნა ვახტანგ ლაცაბიძემ.

მიუხედავად ჩატარებული სამუშაოებისა, სამხატვრო სკოლას კვლავ აწუხებს სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები. ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ რეაბლიტაციის მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ ყველა პრობლემა აღმოიფხვრება:

„თელავის სამხატვრო სკოლას კვლავ სჭირდება ხელის შევლება, ამ ეტაპისთვის რა სამუშაოებიც ჩატარდა მხოლოდ პირველი ეტაპია. მომავალი წლის გაზაფხულიდან უკვე გაგრძელდება მეორე ეტაპი, რის ფარგლებშიც გაკეთდება საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია, შენობის კოსმეტიკური რემონტი, შეიცვლება ინვენტარი და ასე შემდეგ. იმედია, მეორე ეტაპი განხორციელდება და სამხატვრო სკოლას ახალი სული ექნება,“ - ამბობს ლაცაბიძე.

დღესდღეობით სამხატვრო სკლაში სულ 14 თანამშრომელი მუშაობს. წელს, სკოლას სულ 204 მოსწავლე ყავს და მისი წლიური შემოსავალი, რომელსაც მოსწავლეები იხდიან, 5000 ლარს შეადგენს. თანხის სიმცირის გამო სამხატვრო სკოლას თელავის მუნიციპალიტეტი აფინანსებს. 2010 წლის ბიუჯეტში სამხატვრო სკოლის დაფინანსებისთვის 35 000 ლარი გამოიყო:

„სამხატვრო სკოლა არაკომერციული არასმეწარმეო იურიდიული პირია, რომელსაც აფინანსებს თელავის მუნიციპალიტეტი, სამხატვრო სკოლაში სულ 14 თანამშრომელი ვართ, აქედან 5 მომსახურე პერსონალია, ხოლო 9 ხატვის მასწავლებელი. წლიური დაფინანსება გვაქვს 35 000 ლარი. რაც შეეხება ხელფასების რაოდენობას - დირექტორს 350, მოადგილეს 300 ხოლო მასწავლებლებს 204 ლარი, ხახევარ განაკვეთზე ვინც მუშაობს უფრო ნაკლები ხელფასი აქვს.

რაც შეეხება მოსწავლეებიდან შემოსულ თანხებს, მიზერულია და ამით სკოლა თავს ვერ შეინახავს. ერთი მოსწავლეზე წლიური გადასახარი 60 ლარია, ამ დროისათვის სულ 104 მოსწავლე გვყავს, მთლიან წლის გადასახადი დაახლოვებით 5 ათას ლარ შეადგენს, ამ თანხებიდან ხდება სამუშაო მასალების და ფორმატების ყიდვა, ასევე ამ თანხებით ვყიდულობთ შეშასაც,“ - თქვა ლაცაბიძემ.

იმის მიუხედავად, რომ სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზი ავარიულ მდგომარეობაშია, ხშირად მართავენ გამოფენებს. სკოლა სგამოფენისთვის კვლავაც ემზადება. გამოფენა ერეკლეობის ფესტივალზე , თელავის საგამოფენო დარბაზში გაიმართება..

„ხშირად ვაწყობთ გამოფენებს, თუმცა სარეაბილიტაციო სამუშაოებმა შეგვიშალა ხელი, რამდენიმე დღეში გაიხსნება გამოფენა, რისთვისაც დაახლოებით 100 ნამუშევარი გვაქვს შერჩეული. ყველა ნამუშევარი შესრულებულია ჩვენი მოსწავლეების მიერ ძირითადად ფანქრითა და აკვარელით. ნამუშევრები გამოიფინება თელავის საგამოფენო დარბაზში და მსურველებს შეუძლიათ მიბრძანდნენ და დაათვარიელონ.“ - აღნიშნა ვახტანგ ლაცაბიძემ.

თელავს „შავი ზღვის ვერდისეული ბარიტონი“ ლადო ათანელი ესტუმრა

სოფიკო ნიკოლაშვილი

თელავის დრამატულ თეატრს ლადო ათანელი ეწვია და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა, „თანადგომა“ კონცერტი გამართა.

საქველმოქმედო კონცერტები მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა და არც თელავის დრამატული თეატრი არმოჩნდა გამონაკლისი. სწორედ ამ მიზნით, ჩამოფრინდა საქართველოში სახელგანთქმული „შავი ზღვის ვერდისეული ბარიტონი“, ლადო ათანელი.

კონცერტს მუსიკალურად აფორმებდა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური სიმფონიური ორკესტრი, დავით მუქერიას დირიჟორობით.

კონცერტზე შესრულდა ნაწყვეტები სხვადასხვა სახელგანთქმული ოპერებიდან ლადო ათანელისა და ახალგაზრდა ოპერის მომღერლების მიერ. სწორედ ამ ახალგაზრდა მომღერლების თანადგომასა და საზღვარგარეთ სტაჟირებას მოხმარდება საქველმოქმედო კონცერტებიდან შემოსული თანხა.

კონცერტზე შესრულდა:

ჟ. ბიზე — ფარანდოლა სუიტიდან „არლელი ქალი“ ორკესტრი. ჟ.ბიზე — ესკამილიოს კუპლეტები ოპერიდან „კარმენი“, შეასრულა ლადო ათანელმა. ჯ.ვერდის — რდოლფოს არია ოპერიდან „ლუიზა მილერი“, შეასრულა ირაკლი კახიძემ. ჯ.ვერდის — აიდას არია ოპერიდან „აიდა“, შეასრულა მარიამ ტურაშვლმა. ჯ.პუჩინი — ლალაფის არია ოპერიდან „ტურანდოტი“, შეასრულა ირაკლი კახიძემ. ჯ.როინი — დონ ბაზილიოს არია ოპერიდან „სევილელი დალაქი“, შეასრულა სულხა ჯაიანმა. რ.რეოკავალო — ინტერმეცო ოპერიდან „ჯამბაზები“ ორკესტრი. უ.ჯორდანო — ჟერარის მონოლოგი ოპერიდან „ანდრეა შენიე“, შეასრულა ლადო ათანელმა. ზ.ფალიაშვილის- ცეკვა ქართული და სამაია „აბესალომ და ეთერი“ ორკესტრი. რ.ლაღიძე — ლელას არია ოპერიდან „ლელა“, შეასრულა მარიამ ტურაშვილმა. ზ.ფალიაშვილის — აბესალომ და მურმანის დუეტი ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“, შეასრულეს ლადო ათანელმა და ირაკლი კახიძემ.

კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა, კონცერტზე გამოდიოდა ოპერის სამი ახალბედა მომღერალი და „შავი ზღვის ვერდისეული ბარიტონი“, ლადო ათანელი.

მათ გამოსვლებზე, განსაკუთრებით ლადო ათანელის სცენაზე ყოფნისას მაყურებელთა ოვაციები არ წყდებოდა. თქვენც დაუდექით გვერდში ფონდ „თანადგომას“ და დარეკეთ 70 03 70.

მკითხველის წერილი

ამა წლის 24 სექტემბერს სოფელ ვაზისუბანში, ჩემი საკუთარი სახლიდან მომპარეს ფული 153 ლარის ოდენობით. ქურდობის შესახებ შევატყობინე პატრულს, მათ ოპერატიულად დააკავეს დამნაშავე და მოპარული ფული უკან დამიბრუნეს.

მინდა დიდი მადლობა ვუთხრა შინაგან საქმეთა სამინისტროს გურჯაანის პოლიციის განყოფილებას დახმარებისთვის, კერძოდ კი ლევან ბიწკინაშვილს და მის ბრიგადას.

დიდი მადლიერებით
ნუნუ დავითაშვილი

სოფლის ხმა

kakhetiskhma@yahoo.com

ისტორიული ძეგლები დახმარებას ითხოვენ

ზვიად ბიაშვილი

კახეთის რეგიონში გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველაზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომელთაც უნიკალური მნიშვნელობა აქვს და ამდიდრებს ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეობას. სამწუხაროდ, მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებულია და გადაუდებელ დახმარებას ითხოვს.

ძეგლების მდგომარეობასა და მისი რეაბილიტაციის პროექტებზე გურჯაანის მინიციპალიტეტის კულტურის, განათლების და სოციალური განვითარების სამსახურის სპეციალისტი თამაზ მარკოზაშვილი საუბრობს,აღნიშნავს რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ოთხასამდე ისტორიული ძეგლია, რომელთა ნაწილი მე-5 საუკუნით თარიღდება და ფასადაუდებელი მნიშვნელობა აქვს:

„მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კახეთის რეგიონში, ყველაზე მეტი ძეგლია, რომელიც საკმაოდ ძველია, მრავალ საუკუნეს ითვლის და ისტორიული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მნიშვნელოვანია ისეთი ძეგლები, მაგალითად როგორიცაა სოფელ ზეგაანში მდებარე წმინდა მარინეს ეკლესია, რომელიც მე-5 საუკუნით თარიღდება და ყველაწმინდის ეკლესია რომელიც მე-6 საუკუნითაა დათარიღებული. ეს მცირე ჩამონათვალია იმ ძეგლებისა, რომელიც ძალიან ძველია და ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს“, - ამბობს თამაზ მარკოზაშვილმა.

რაც შეეხება ძეგლების მდგომარეობას, ისტორიკოსის თქმით, ამ საკითხზე აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო, რომელსაც სათავეში ნიკოლოზ ვაჩეიშვილი უდგას. სწორედ სააგენტოს აქტიური მუშაობის შედეგად აღდგა გურჯაანის ყოვლაწმიდის ორგუმბათოვანი ეკლესია:



თამაზ მარკოზაშვილი, ისტორიკოსი | კახეთის ხმა

„ყოვლაწმიდის ეკლესია ძალიან დაზიანებული იყო. სამუშაოების შესრულების შემდეგ კაპიტალურად შეკეთდა და საფრთხე არ ემუქრება“, - თქვა ისტორიკოსმა.

ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციისთვის ბიუჯეტიდან საკმაოდ მწირი თანხებია გამოყოფილი. ამ ეტაპზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხები მხოლოდ დაზიანებული ძეგლების დიაგნოსტიკასა და ამ დაზიანებების ფოტოზე აღბეჭდვისთვის.

ძეგლების გადარჩენასა და აღდგენაში დიდი წვლილი შეიტანა ბიძინა ივანიშვილის ფონდმა. მარკოზაშვილის თქმით, აღნიშნულმა ფონდმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში 5 ისტორიული ძეგლის აღდგენა დააფინანსა:

„ბიძინა ივანიშვილის ფონდის დაფინანსებითა და თაოსნობით ჩვენს მუნიციპალიტეტში აღდგა 5 ისტორიული ძეგლი. ესენი გახლავთ, დარბის წმინდა გიორგის მე-18 საუკუნის ეკლესია, რომელიც კაჭრეთთან ახლოს სოფელ მახარაძის ტერიტორიაზეა და უახლოეს მომავალში ეკლესია გახდება მოქმედი. რეაბილიტირებულია ჯიმითის კვირაცხოვლის ტაძარი, რომელიც გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება. ასევე აღდგა სოფელ ჭერემში მდებარე წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც მე-7, მე-11 საუკუნეების ძეგლია. ამავე ფონდის მიერ რეაბილიტირებულია სოფელ კალაურის ცენტრში მდებარე წმინდა ნინოს ეკლესია და მალე მოქმედი გახდება. ასევე ვაჩნაძიანში აღდგენილია ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, სადაც დაკრძალულნი არიან თავადი ჯანდიერები და ეს მათი საგვარეულო საძვალეა“, - ყვება მარკოზაშვილი.

ისტორიკოსის თქმით, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია წინარექრისტიანული ძეგლებიც. სოფელ ჯიმითსა და კაჭრეთს შორის გასული საუკუნის 70-იან წლებში აღმოჩენილია ე.წ. სადუღას ყორღანი, რომელიც ბრინჯაოს ხანით თარიღდება:

„წინარექრისტიანულ ეპოქაზე უნდა აღინიშნოს, რომ აღმოჩენილია მაგ. სოფელ ზიარში ადამიანის უძველესი სადგომი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ ადამიანი ქვის ხანიდან ცხოვრობდა.

სადუღას ყორღანი აღმოჩენილია სოფელ ბაკურციხესთან, ე.წ გორამიწასთან, უძველესი და მნიშვნელოვანი ადრექრისტიანული ისტორიული ძეგლია, რომელიც ე.წ. თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული, ე.წ. ბედენური კულტურის თანადროულია“, - ყვება ისტორიკოსი.

გასული საუკუნის 60-იან წლებში წარმართული ძეგლებია აღმოჩენილი სოფელ მელაანის ტერიტორიაზეც. აქვეა აღმოჩენილი მრავალი სარიტუალო ბრინჯაოს ნივთი. ისტორიკოსის თქმით, ანტიკური ძეგლები გვხვდება თვით ქალაქ გურჯაანის ტერიტორიაზეც:

„წარმართული სალოცავები აღმოჩენილია სოფელ მელაანის ტერიტორიაზე, რომელიც თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-7 მე-6 საუკუნეებით. ანტიკური ძეგლები გვხვდება ქალაქ გურჯაანის ტერიტორიაზეც, მაგ. დიაგნოსტიკური ცენტრის მშენებლობის დროს აღმოჩნდა ე.წ. ჰერული კულტურის ძეგლები“, - განაცხადა მარკოზაშვილმა.

შეუმოწმებელი სამშენებლო მასალა საშიშ დაავადებებს იწვევს

“საბაჟოზე არცერთი სამშენებლო მასალა არ მოწმდება”

შეუმოწმებელი სამშენებლო მასალა სიმსივნეს, ლეიკოზიას და სხვა საშიშ დაავადებებს იწვევს, ასეთი მასალა კი საქართველოში შემოწმების გარეშე, სრულიად თავისუფლად შემოდის. ამის შესახებ ასოციაცია „საშენი მასალები და მშენებლობა ფალსიფიკაციისგარეშე“ ხელმძღვანელი ანზორ საკანდელიძე აცხადებს.

„ამ სფეროში ორი დიდი პრობლემაა: სეისმური და სამშენებლო-ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დარღვევა. საქართველო ალბათ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არავინ ამოწმებს, რა დონით არის საცხოვრებელ ბინებში რადიაცია, ქიმიური დაბინძურება, ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივება და ნივთიერება რადონი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია,“ - აცხადებს საკანდელიძე.

მისი თქმით, დაუშვებელია შენობის ჩაბარება ეკოლოგიური დასკვნის გარეშე. ამ ნორმებს რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში იცავენ. საკანდელიძის ინფორმაციით, საბაჟოზე არცერთი სამშენებლო მასალა არ მოწმდება და შედეგად, ასეთი პროდუქციის შემოტანისთვის საქართველო მიმზიდველი ბაზარი გახდა. მისი განცხადებით, ყველაზე მეტი უხარისხო მასალა ჩინეთიდან შემოდის და მას გერმანული, ფრანგული, ინგლისური ფირმების სახელწოდებები აწერია. იაფად შემოდის თურქული ცემენტი, რომელსაც სხვა ქვეყნები აღარ იყენებენ.

„ინგლისში, მაგალითად, ყველა საცხოვრებელი სახლი შეამოწმეს და იმ შენობებიდან, სადაც გამოსხივება ნორმაზე მაღალი იყო, ხალხი გამოასახლეს. აქაც იგივე უნდა გაკეთდეს,“ - აცხადებს საკანდელიძე.

მისი თქმით, პრობელმის შესასწავლად და შენობებში არსებული რადიაციის დასადგენად აუცილებელია სპეციალური მოწყობილობის შეძენა, რომელიც 30 ათასი დოლარი ღირს

დაბურული მინებიანი ავტომობილებით მოძრაობა აიკრძალება

თბილისში დაბურული მინებიანი ავტომობილებით მოძრაობა აიკრძალება. პარლამენტში უკვე შესულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელსაც უახლოეს პერიოდში დაამტკიცებენ. აკრძალვას დაექვემდებრება 25%—ზე მეტად დაბურული მინები, რადგან მსოფლიო სტანდარტი მინების სწორედ ამ დონეზე გამუქებას ითვალისწინებს. დარღვევის შემთხვევაში მძღოლებს თავდაპირველად გააფრთხილებენ, შემდეგ კი 50 ლარით დააჯარიმებენ.

უმრავლესობის წევრთა განცხადებით, დაბურული მინები ქმნის საავარიო სიტუაციას და მათი აკრძალვა როგორც მძღოლების ისე ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებისთვის გაკეთდა. თუმცა პარლამენტში იმასაც აცხადებენ, რომ შესაძლოა აკრძალვამ სპეცავტომობილებზე არ იმოქმედოს.

პეგასუსით“ ევროპაში მგზავრობის ღირებულება 119 ევროდან დაიწყება

თბილისი - სტამბულის მიმართულებით ფრენა უკვე 79 ევროდაა შესაძლებელი. ერთ-ერთი უმსხვილესი თურქული ავიაკომპანია “პეგასუსი” მგზავრებს ქართულ რეალობაში ფრენებს სწორედ ამ ფასად სთავაზობს. ანტალიის მიმართულებით ფრენა 99 ევრო, ლონდონის მიმართულებით 139, სხვა ევროპულ ქალაქებში კი 119-დან 139 ევრომდე ჯდება.

კომპანია “პეგასუსმა” რიგით მეორე ფრენა თბილისი-სტამბულის მიმართულებით ჟურნალისტებთან ერთად განახორციელა. 189 ადგილიდან 134 შეივსო. „პეგასუსის“ წარმომადგენლების განმარტებით, მეორე ფრენისას თვითმფრინავის 70 პროცენტიანი შევსება კარგი მაჩვენებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მგზავრთა რაოდენობა კიდევ უფრო მოიმატებს.

კომპანია “პეგასუსი” მომხმარებელთა მეტი რაოდენობის მისაზიდად დაბალ ტარიფებზეა ორიენტირებული. მისი თვითმფრინავით მგზავრობისას ბილეთის ფასში 20 კილოგრამამდე ტვირთის და 8 კილომდე ხელბარგის გადატანაა გათვალისწინებული. ბილეთის ფასში კვების ღირებულება არ შედის, თუმცა, თვითმფრინავშია ცივი სასმელების, სენდვიჩებისა და ტკბილეულობის შეძენის საშუალება. მათი ფასი 2-დან 7 ევრომდე მერყეობს.

როგორც სააქციო საზოგადოება “ენ ტურის” (“ენ ტური” საქართველოში “პეგასუსის” პარტნიორია) გენერალურმა დირექტორმა გიორგი შენგელიამ განაცხადა, “პეგასუსი” ბილეთის ფასს ისეთი მომსახურების ტარიფს, რომელიც შეიძლება მგზავრს არც კი დასჭირდეს, განზრახ არ ამატებს, რითაც ის ხელმისაწვდომი ფასების შენარჩუნებას ახერხებს.

თურქული ავიაკომპანია “პეგასუსი” 20 წელია არსებობს. ის ყოველკვირეულად 1450 ფრენას ასრულებს. მას მთლიანობაში 18 შიდა და 25 საერთაშორისო ფრენა აქვს. 2015 წლისათვის კომპანია 40 ახალი თვითმფრინავის დამატებასა და მგზავრთა რაოდენობის 6 მილიონიდან 8 მილიონამდე გაზრდას გეგმავს.

მცენარეთა დაცვის საშუალებების ფირმა შ.პ.ს. „ლუკ-აგრო“ გთავაზობთ:

1)სათესლე მასალებს: (მარცვლეული,ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურებისთვის);

2)სასუქებს და მიკრო სასუქებს: (ფესვური და ფოთლოვანი გამოკვებისთვის);

3)თესლის შესაწამლ პრეპარატებს: (სათესლე მასლის დასამუშავებლად) ;

4) პესტიციდებს: ა)**ჰერბიციდებს** (სარეველებთან საბრძოლველად); ბ)**ფუნგიციდებს**: (დაავადებებთან საბრძოლველად), გ)**ინსექტიციდებს**: (მავნებლებთან საბრძოლველად)

სიახლე !!! ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ პროდუქცია განვადებით,საუკეთესო ფასად.

ფერმერებს მოემსახურებიან გამოცდილი სპეციალისტები,რომლებიც უფასოდ მიაწვდიან მრავალ პრაქტიკულ და თეორიულ რჩევებს დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შ.პ.ს. „ლუკ-აგრო” უახლოეს მომავალში ფერმერებს შესთავაზებს:

1. **აგრო-ტექნიკით მომსახურებას:** (სახნავი,სათესი,შემასხურებელი,მოსავლის ამღები).
2. **თანამედროვე ტიპის ლაბორატორიას:** (სადაც შესაძლებელი იქნება: ხორბლის ანალიზის გაკეთება, მიწის ანალიზის გაკეთება და მიწის ანალიზის მიხედვით შესაბამისი სასაუქის მომზადება. მის:ქ.წნორი, დ.აღმაშენებლის 38ა, (წისქვილკომბინატ ”ზაგოზერნოს” მიმდებარე ტერიტორია)

ტელ: 858.10.73.20; 895.227.127. ელ-ფოსტა: tamazi0707@rambler.ru.

აღმოსავლეთ საქართველო – კახეთის რეგიონი

ამინდის პროგნოზი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში
კვირის განმავლობაში ცვალებადი მოღრუბლულობა

თელავი	სიღნაღი	გურჯაანი	ყვარელი	საგარეჯო	ახმეტა	ლაგოდეხი	დედოფლისწყარო
ღამით: +5 +8	ღამით: +4 +7	ღამით: + 7.. + 9	ღამით: +7 +10	ღამით: +7 +10	ღამით: + 5.. + 9	ღამით: +8 +10	ღამით: +6 +10
დღისით: +12 +18	დღისით: +10 +17	დღისით: +11 + 20	დღისით: + 12 +15	დღისით: +14 19	დღისით: +12 + 18	დღისით: + 9.. +19	დღისით: +10 21